პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 26 (12842)

პარასკევი, 31 იანვარი, 1964 წ.

ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **პ. ა. როდიონოვი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ი. კუჭავა, დ. გ. სტურუა.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დამტკიცებული არიან ამხანაგები:

დ. გ. სტურუა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი — იდეოლოგიური განყოფილებისა;

ს. ე. ხოსროშვილი — პარტიული ორგანოების განყოფილებისა;

შ. მ. ბეზარაშვილი — მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებისა;

გ. ს. ვაშაკიძე — მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებისა;

გ. ა. ბოკუჩავა — მსუბუქი, კვების მრეწველობისა და ვაჭრობის განყოფილებისა;

ბ. გ. გიგიბერია — სოფლის მეურნეობის განყოფილებისა;

დ. მ. მამულაძე — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელი მრეწველობისა და ვაჭრობის განყოფილებისა;

ზ. მ. რატიანი — ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებისა.

ამხ. **დ. ვ. გელაშვილი** დამტკიცებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარედ.

ამხ. **ნ. გ. ჩერქეზიშვილი** დამტკიცებულია იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ.

დამტკიცდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიურო. ბიუროში შევიდნენ ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე** — ბიუროს თავმჯდომარე, **შ. მ. ბეზარაშვილი** — ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, **ა. მ. ლაბახუა, ნ. გ. გომელაური, გ. ა. ბოკუჩავა, გ. ს. ვაშაკიძე, გ. ა. ბუუგულაშვილი, შ. ე. გაგოშიძე, ვ. დ. ღოღობერიძე.**

დამტკიცდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიურო. ბიუროში შევიდნენ ამხანაგები **შ. ი. ჭანუყვაძე** — ბიუროს თავმჯდომარე, **ბ. გ. გიგიბერია** — ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, **ზ. ბ. გელდიაშვილი, დ. მ. მამულაძე, ო. ს. კერძაია, ჯ. ნ. ლომაშვილი, შ. ო. გრძელიშვილი, ფ. ს. დუღაშვილი, ა. ვ. ხუროძე.**

დამტკიცდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობა. კომიტეტში შევიდნენ ამხანაგები **მ. ი. კუჭავა** — კომიტეტის თავმჯდომარე, **გ. ვ. უამიერაშვილი** — კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, **ვ. ა. სობოლევი** — კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომიტეტის წევრები ამხანაგები **მ. ბ. ბიგვავა, გ. დ. ყიფიანი, დ. მ. იოსელიანი, დ. ვ. მჭედლიშვილი, ი. ი. ჩხიკვიშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. ნ. ხოდელი, ლ. ს. ლეონიძე.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **თ. რ. აბაშმაძე.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა, რომელიც შეიკრიბა სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული დიადი პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის დღეებში, რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მგზნებარე კომუნისტურ სალამს უთვლის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ — მშვიდობისათვის, მშრომელი ადამიანების ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს!

თავის XXII ყრილობას საქართველოს პარტიული ორგანიზაცია შეეგება უფრო, ვიდრე ოდესმე, მონოლითური და მჭიდროდ შეკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ხელმძღვანელობის მებრძოლი, ნაცადი შტაბის გარშემო.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების შესახებ, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის შემდგომი მკვეთრი ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

საბჭოთა საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, მთელი ინტელიგენცია ერთხულოვნად უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გენერალურ ხაზს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხში.

პარტიის ისტორიული XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებმა საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი უმაგალითო აღმავლობა გამოიწვია.

ყრილობა კმაყოფილებით მოახსენებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ბევრი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ამ ბოლო ორი წლის მანძილზე. რუსთავის მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და ქიმიკოსებმა მწყობრში ჩააყენეს კაპროლაქტამის საწარმოო საამქროთა კომპლექსი, აგრეთვე მინერალური სასუქების საწარმოო დამატებითი სიმძლავრეები. ამუშავდა ისეთი დიდი ობიექტები, როგორიც არის ორჭონიკიძე-თბილისის გაზსადენი, ხრამჰესი—2, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი ბლოკი, სიონის წყალსაცავი, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი მაღაროები, ელექტროგადაცემის ხაზები.

რესპუბლიკის მრეწველობამ 1963 წლის დავალებანი 100,1 პროცენტით შეასრულა. ეს 6 პროცენტით აღემატება წინა წლის დონეს.

ახალი შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. 1963 წელს მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 186 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 16.000 ტონით მეტი, ვიდრე დაგეგმილი იყო შვიდწლედის ბოლო წლისათვის. სამშობლოს ბეღლებში შენახულია 12 მილიონ ფუთზე მეტი მარცვალი, ჩვენმა ქვეყანამ მიიღო სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა პროდუქცია.

განვლილი წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი წელი იყო საქართველოს მშრომელთათვის. რომლებმაც სამჯერ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება — ჩაის ფოთლისა და მარცვლეულის უმაგალითო უხვი მოსავლისათვის, კაპროლაქტამის საწარმოო საამქროთა კომპლექსის ამუშავებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გულითადი მილოცვა, ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების, მბვნელმოსავლეების, ჩვენი მშენებლებისა და ქიმიკოსების შრომის მაღალი შეფასება საქართველოს მშრომელებს აღაფრთოვანებს ახალი წარმატებებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში, ახალი პატრიოტული საქმეებისათვის ჩვენი დიდი სამშობლოს სასახელოდ.

დიდი წარმატებანია მოპოვებული ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაში. პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, შესამჩნევად გაძლიერდა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა რესპუბლიკის შემოქმედებითს ორგანიზაციებში, განმტკიცდა ხელოვნების მოღვაწეთა კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

საქართველოს მშრომელები ყველა წარმატებას კომუნისტურ მშენებლობაში უმადლიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევ ლენინურ მეგობრობას, რომლებიც ერთიან ერთსულოვან ოჯახად აშენებენ კომუნისტური საზოგადოების ნათელ შენობას.

ინტერნაციონალური ტრადიციების ერთგულ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მშრომელთა აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა წლითიწლობით, დღითიდღე სულ უფრო მტკიცდება და ძლიერდება. ამ მეგობრობის მკაფიო გამოხატულებაა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელებთან და უწინარეს ყოვლისა დიდ რუს ხალხთან, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებთან საქართველოს მშრომელების სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციის გაფართოება, ეკონომიური დაახლოება და კულტურული ურთიერთგამდიდრება.

განვლილ ორ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ჩვენ, კომუნისტებს, როდი გვჩვევია დავჯერდეთ მიღწეულს. ოკეი მოპოვებულს. ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ნაკლი, და რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულება დაგვეხმარება აღმოვფხვრათ ამყოფილი ნაკლოვანებანი. უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი მკვეთრი აღმავლობა.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა რესპუბლიკის ყველა კომუნისტის სახელით სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ისევე როგორც ყოველთვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული მებრძოლი რაზმი იქნება.

საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი კვლავაც იქნებიან ეკონომიკის, კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე. ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 23 იანვრის დადგენილება

პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების მშრომელთა ინიციატივის შესახებ, რომ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების ვადის შემცირებისა და ქიმიური პროდუქციის ზეგეგმითი წარმოებისათვის

უპასუხესრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1963 წელი) პლენუმის გადაწყვეტილებებს — ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების ქიმიური მრეწველობის საწარმოებისა და მშენებლობების მშრომელთა კოლექტივებმა გამოიჩინეს შესანიშნავი თაოსნობა, ინიციატივა, რომ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების ვადის შემცირებისა და ქიმიური პროდუქციის ზეგეგმითი წარმოებისათვის.

მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, რომლებიც ფაროდ იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, ვალდებულება იკისრეს ახალი ობიექტების აგებისა და ათვისების ვადის შემცირების. ქიმიურ საამქროთა და წარმოებათა რეკონსტრუქციის, მოძველებული და მცირე მწარმოებლური მოწყობილობის ახლით შეცვლის, მოქმედ სიმძლავრეთა რაციონალური გამოყენების გზით 1964 წელს გეგმის გადამეტებით აწარმოონ 100 ათას ტონაზე მეტი მინერალური სასუქები, ორი ათას ტონაზე მეტი სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, 250 ტონა მაღალხარისხოვანი საღებრები და მნიშვნელოვანი რაოდენობით სხვა ქიმიური პროდუქცია.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიაჩნიათ, რომ ამ პატრიოტულ თაოსნობას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და რომ მას ფართოდ უნდა დაუჭირონ მხარი ქიმიური მრეწველობის, ქიმიური მანქანათმშენებლობის და იმ ორგანიზაციათა მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ ქიმიის ობიექტების დაპროექტებას, მშენებლობასა და მონტაჟს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო ადგენენ:

1. მოწონებულ იქნეს პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივა, რომ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების ვადის შემცირებისა და ქიმიური პროდუქციის ზეგეგმითი წარმოებისათვის.

2. რჩევა მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს:

ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ამ წამოწყებას და ქიმიური მრეწველობის საწარმოებში, ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებში გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისა და ათვისებისათვის, საამქროთა და წარმოებათა რეკონსტრუქციისათვის, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და ქიმიური პროდუქციის ზეგეგმითი წარმოებისათვის.

მუდმივად და ფაროდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, განაზოგადონ და გაავრცელონ იმ მოწინავე საწარმოთა და მშენებლობათა გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო პროფსაბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ ქიმიური მრეწველობისა და ქიმიური მანქანათმშენებლობის საწარმოთა, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები მხარს დაუჭერენ ამ თაოსნობას, ფართო ფრონტით გაშლიან ბრძოლას ქიმიური მშენებლობის საწარმოთა სიმძლავრეების ვადამდე ამუშავებისა და სრული ათვისებისათვის, აგრეთვე ქიმიური პროდუქციის ზეგეგმითი წარმოებისათვის და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
საკავშირო პროფსაბჭო

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

აბაზაძე ზ. დ.	ბიგვავა მ. ვ.	დავითაშვილი თ. ნ.	კობახიძე შ. ს.	მჟავანაძე ვ. პ.	სირაძე ვ. მ.	ქობულია გ. ს.	ძოწენიძე გ. ს.
აბასაშვილი შ. გ.	გოკუჩავა გ. ა.	დოლიძე შ. ა.	კუჭავა მ. ი.	მუსხელიშვილი ნ. ი.	სიხარულიძე გ. ვ.	ყოჩიაშვილი ნ. ს.	ჭანუყვაძე შ. ი.
აბაშიძე ი. გ.	გუაჩიძე თ. ჯ.	ვაშაკიძე გ. ხ.	ლაბახუა ა. მ.	მჭედლიშვილი დ. ვ.	სტეპჩენკო თ. პ.	შავიშვილი კ. ნ.	ხაზარაძე ი. გ.
აბესაძე ო. გ.	გლაჟგა მ. თ.	ვერიჟენკო კ. დ.	ლაშქარაშვილი თ. ვ.	პატარიძე ზ. ა.	სტურუა დ. გ.	შარაშიძე დ. გ.	ხარაძე ე. კ.
აბესაძე პ. ხ.	გარდაფხაძე კ. კ.	ზაუტაშვილი გ. ი.	ლელაშვილი მ. მ.	ჟვანია ნ. ა.	სტუჩენკო ა. ტ.	შონია ნ. პ.	ხარისჩარიშვილი ი. ს.
აბუთიძე დ. გ.	გეგეშიძე გ. ა.	თავდუმაძე გ. მ.	ლოლაშვილი ო. ი.	რატიანი ზ. მ.	სულაძე ო. ნ.	ჩაჩანიძე გ. ნ.	ხოსროშვილი ს. ე.
აზაურაშვილი გ. ე.	გელაშვილი დ. ვ.	თაქთაქიშვილი ო. ვ.	მამულაძე დ. მ.	როვენკოვი ნ. ი.	ტოლიაშვილი ი. ა.	ჩერქეზია ო. ე.	ხოხლოვი ი. მ.
აკოფოვი მ. ს.	გელაშვილი დ. ლ.	თოდუა თ. ა.	მანელაშვილი ა. ა.	როდიონოვი პ. ა.	უკლება ლ. მ.	ჩერქეზიშვილი ნ. გ.	ხუბაევი ა. კ.
ართმელაძე ი. დ.	გელაშვილი ც. ლ.	თოიძე ა. ნ.	მატროსოვი ვ. ა.	საბაშვილი დ. ხ.	ფარმანიანი ა. ა.	ჩიაევი ი. ს.	ხუნდაძე გ. რ.
გეზარაშვილი შ. მ.	გელდიაშვილი ზ. ბ.	თოხაძე ვ. ზ.	მეზვრიშვილი მ. ა.	საბაშვილი მ. ნ.	ფრუიძე რ. ი.	ჩიქოვანი მ. გ.	ჯავახიშვილი გ. დ.
გერძენიშვილი პ. ე.	გიგიბერია ბ. გ.	თხილაიშვილი ა. დ.	მელაძე ა. ე.	სალუქვაძე ე. ა.	ქავთარაძე ო. ა.	ჩიხლაძე მ. თ.	ჯამრულიძე კ. ე.
გეჟაური ა. ს.	გოგოხია დ. ვ.	ილარიშვილი მ. ა.	მენთეშაშვილი თ. ნ.	სანიკიძე ვ. კ.	ქადაგიძე გ. ი.	ჩოგოვაძე გ. ი.	ჯაფარიძე ე. მ.
გზიშვილი რ. ა.	გომელაური ნ. გ.	ინაური ა. ნ.	მერკვილაძე ვ. ნ.	საფაროვი ი. მ.	ქართველიშვილი გ. მ.	ჩხაიძე ტ. ნ.	ჯაფარიძე ზ. ს.
გიგილაშვილი მ. ა.	გრძელიშვილი შ. ო.	კვარაცხელია ბ. ს.	მექვევრიშვილი მ. ი.	სახეჩიძე პ. პ.	ქერქაძე ვ. გ.	ჩხარტიშვილი ს. კ.	ჯაფარიძე ი. მ.
გიგვავა დ. ა.	დავითაძე ლ. მ.	კვაჭაძე ზ. ა.	მიქელაძე გ. შ.	სილაგაძე კ. გ.	ქვარცხავა ა. კ.	ჩხიკვიშვილი ი. ი.	

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევროგის კანდიდატები

აბაშიძე გ. გ.	გაგადაძე ე. ს.	დვალი რ. რ.	კაკანაძე თ. ა.	ლოგინოვი ვ. ს.	მარგველაშვილი ა. ნ.	რომელაშვილი დ. ზ.	ქინქლაძე ო. დ.
ავიძგა გ. ტ.	გაპონცევი ი. ი.	დოგრონეცკი ლ. კ.	კატიშკინი ი. ს.	ლეჟავა ზ. პ.	მესტვირიშვილი ი. ა.	საღარეიშვილი ა. ა.	ღოლოგერიძე ვ. დ.
ალიევი ა. ბ.	გეჯაძე ბ. ნ.	იამანიძე ჯ. კ.	კერესელიძე შ. ი.	ლომიძე ნ. შ.	მირიანაშვილი ვ. ვ.	სამხარაძე მ. მ.	შადური ა. ი.
ანდრონიკაშვილი გ. ა.	გელაშვილი ვ. ს.	იაშვილი მ. ი.	კომახიძე რ. მ.	მაზიკასი მ. მ.	ნანეიშვილი ვ. ვ.	სარიშვილი ი. ფ.	შინკუბა გ. ვ.
ბლრციანი ა. ა.	გიორგაძე შ. ვ.	კაზარიანი უ. ა.	კოკილოვი ი. ვ.	მაისურაძე ვ. ი.	პესკოვი ნ. დ.	სოგოლევი ვ. ა.	ცქვიტინიძე უ. ფ.
ბუაჩიძე ი. მ.	გონაშვილი ა. ი.	კაზიევა ე. გ.	კულულაშვილი შ. მ.	მამაცაშვილი დ. გ.	ჟამიერაშვილი გ. ვ.	სოგოლევა ვ. ა.	ხაბულიანი ი. თ.
ბუიუკლიანი ს. ო.	გოზოთელიანი ლ. ვ.	კალიუჟნი პ. პ.	კუტალია ა. ა.	მანჯგალაძე ა. ა.	რეხვიაშვილი ა. გ.	ფაცაცია ო. ა.	ხუროძე ა. ვ.
							ჯაყელი ვ. ე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილოგის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლოგა

აბაშმაძე თ. რ.	გუთხუზი გ. ს.	დავითაშვილი მ. დ.	ვართანოვი ვ. ს.	მაჭარაშვილი გ. ი.	სარდანაშვილი ა. ი.	შაორშაძე თ. ს.	ჩხოლარია ნ. გ.
აბზიანიძე მ. ვ.	გელბახიანი პ. გ.	დალაქიშვილი გ. ა.	ვარშანიძე ჟ. მ.	მგელიაშვილი ნ. მ.	საქსაბანსკი ვ. ა.	შათირიშვილი გ. ა.	ძაძამია ვ. ა.
არწივიძე ი. ა.	გოგიჩაიშვილი ნ. ა.	ეცადაშვილი შ. მ.	იაშვილი მ. ვ.	მურუსიძე ვ. ი.	სოლომონია ე. ბ.	ჩავჩიძე შ. ლ.	ჭილაია ს. ე.
ბაიდოშვილი ი. ვ.	გოგოლაძე ს. გ.	ეხვაია ც. ი.	ისაკაძე ლ. მ.	ჟორჟოლაძე გ. ი.	ფირანიშვილი ვ. ა.	ჩიქოვანი ა.ბ.	ხარბედია ლ. ს.
ბათიაშვილი ა. ბ.	გოგიხვანიძე შ. ს.	ეგრალიძე ნ. პ.	კეშელავა დ. ვ.	როგიტაშვილი ბ. ვ.	ფირცხალავა ბ. ს.	ჩიქოვანი შ. ა.	ჯანჯღავა ვ. ნ.
ბერეკაშვილი შ. ვ.	დავითაშვილი ა. მ.	ვარდოშვილი ა. პ.	კონცელიძე ლ. მ.	საბაშვილი ო. ბ.	ფირცხალავა შ. ა.	ჩიქვანაია ლ. ა.	

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

დაიხურა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

30 იანვრის დილის სხდომა მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. **მ. ი. კუბატელას** თავმჯდომარეობით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. დ. ჯაფარიძე**, გურჯაანის საწარმოო სამმართველოს სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **მ. ი. იაშვილი**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ი. ს. ჩიანეი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **დ. ბ. სტურუა**.

სხდომაზე წაიკითხეს ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა ყირლობისადმი.

განახლებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროსაშემდუღებლო მოწყობილობის ქარხნის ამწყობმა ზინაკალმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ამხ. **ვ. ა. ბონდარენკომ**, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ამხ. **ბ. ფ. ქართველიშვილმა**, საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ო. ე. ჩერქეზიამ**, მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ შრომის ორენინკიძის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მეჩაიემ ამხ. **ტ. ნ. ჩხაიძემ**.

შესვენების შემდეგ გაგრძელდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა. თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **გ. ს. ძოწენიძე**.

სიტყვა ეძლევა თბილისის საელმავლო დეპოს მეანჭარეს ამხ. **შ. გ. აბასაშვილს**.

სიტყვას ამბობს აკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე ამხ. **გ. ნ. ბოჩარიოვი**. ქვეყნდება ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა ყირლობისადმი.

კამათი გრძელდება. გამოდიან გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მმართველი ამხ. **დ. გ. შარაშიძე**, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. **ა. ტ. სტუჩენკო**.

სხდომაზე წაიკითხეს აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა ყირლობისადმი.

კამათი გრძელდება. გამოდიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ბ. ფ. ბანაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ო. დ. ძინანლაძე**, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **შ. ა. დოლიძე**.

ამით თავრდება დილის სხდომა.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის საღამოს სხდომა გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. **ბ. ს. ძოწენიძის** თავმჯდომარეობით.

გრძელდება კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. სიტყვას ამბობს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მდივანი ამხ. **მ. ნ. სალაშვილი**.

ქვეყნდება სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა ყირლობისადმი.

კამათი გრძელდება. გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. **ს. ე. ჭილაია**.

ამით თავრდება კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო.

ყირლობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. ა. მუკანანაძემ**.

ყირლობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში ცნოს დამაკმაყოფილებლად.

ამტკიცებენ სარევიზიო კომისიის მოხსენებას.

ყირლობა იწყებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას.

თავმჯდომარე ე. ო ბ ს ამხ. **ვ. ა. მუკანანაძე**.

დელეგატები იწყებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების — ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევას.

ასახელებენ კანდიდატურებს ფარული კენჭისყრისათვის.

სხდომაზე წაიკითხეს ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისადმი.

ყირლობა ერთხმად იღებს რეზოლუციას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

წაიკითხეს თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშები ყირლობისადმი.

ყირლობამ მოისმინა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის — რუსთაველის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. **ნ. პ. ეგნარლიძის** ინფორმაცია. მან განაცხადა, რომ ყველა დასახელებული კანდიდატი არჩეულია საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში.

შემოაქვთ წინადადება მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

მისალმების ტექსტი, რომელსაც ყირლობის დელეგატები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ, წაიკითხა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. **თ. ვ. ლაშკარაშვილმა**. დარბაზში დიდხანს გრძელდს ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან.

თავმჯდომარე ამხ. **ვ. ა. მუკანანაძე** ამბობს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დღის წესრიგი ამოიწურა, და ყრილობას დახურულად აცხადებს.

დელეგატები ფეხზე დგებიან. დარბაზში ჟღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „დიდება სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით!“, „გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ერთობას!“, „გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს კომუნიზმს!“, „ვაშა!“. დიდხანს არ წყდება მქუხარე ოვაცია. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში

მოხსენებელი ამხ. თ. რ. აბაშმაძე

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც სკკპ ერთ-ერთი მებრძოლი რაზმია, XXII ყრილობით კიდევ ერთი შესანიშნავ ფურცელს ჩაწერს თავის ისტორიაში.

საქართველოს კპ XXI ყრილობიდან არცთუ ისე დიდმა დრომ განვლო, მაგრამ იგი აღსავსეა უმნიშვნელოვანესი მოვლენებით ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ამ პერიოდში მთელი საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად საქართველოს მშრომელები თავდადებულად შრომობდნენ ნაბრძოლნენ პარტიის XXII ყრილობისა და აკკპ ცენტრალური კომიტეტის ყრილობის მომდევნო პლენუმების ისტორიული გადწყვეტილებების განსახორციელებლად.

ამხანაგებო! დღეს ყრილობამ მოისმინა ამხანაგ ვ. ა. მუკანანაძის მოხსენება საანგარიშო პერიოდში გაწეული იმ დიდი მუშაობის შესახებ, რომელმაც განაპირობა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების ყველა დარგში მიღწეული წარმატებანი.

ამხანაგმა ვ. ა. მუკანანაძემ თავის მოხსენებაში ფართოდ გააშუქა სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა თავრობის მიერ გაწეული ის დიდი მუშაობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, რომელმაც უდიდესი გამარჯვებები მოუტანა ჩვენს სამშობლოს და აამაღლა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისია მთელ თავის საქმიანობას წარმართავდა პარტიის წესდების შესაბამისად, სისტემატურად ამოწმებდა პარტიული ბიუჯეტის შესრულებას, საწევრო შესატანის აკრეფის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში, მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-გარჩევის მსელელობას და სხვა საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარტიული ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა როგორც ცენტრალური კომიტეტის აპარატში, ისე საოლქო, საქალაქო, სამრეწველო და სასოფლო პარტიულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

საწარმოო პრინციპის მიხედვით პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნასთან დაკავშირებით პარტიული ბიუჯეტი რამდენადმე შემცირდა. თუ 1962 წლის ბიუჯეტით ხარჯები გათვალისწინებული იყო 5.985,9 ათასი მანეთის ოდენობით, 1963 წლის გეგმით გათვალისწინებულია 5.516,7 ათასი მანეთი, ე. ი. 469 ათასი მანეთით, ანუ 8 პროცენტით ნაკლები.

შემოსავალი გეგმით გათვალისწინებული იყო 14.809,6 ათასი მანეთი, ფაქტიურად შემოვიდა 14.744,5 ათასი მანეთი, ე. ი. 65,1 ათასი მანეთით ნაკლები.

ამავე პერიოდში პარტიული ბიუჯეტიდან დაიხარჯა 13.906,5 ათასი მანეთი, გეგმით გათვალისწინებული 14.809,6 ათასი მანეთის ნაცვლად (ე. ი. 903,1 ათასი მანეთით ნაკლები).

ცალკეული წლების მიხედვით ბიუჯეტში გვაქვს შემდეგი სურათი:

1962 წელს შემოსავალი იყო 5.999 ათასი მანეთი გეგმით გათვალისწინებული 5.985,9 ათასი მანეთის ნაცვლად (ე. ი. შემოსავლის ნაწილი შესრულდა 13,1 ათასი მანეთის გადამეტებით), გასავალმა შეადგინა 5.575,4 ათასი მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.985,9 ათასი მანეთისა (ე. ი. 410,5 ათასი მანეთით ნაკლები იყო).

1963 წელს შემოსავალი იყო 5.800,5 ათასი მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.675,1 ათასი მანეთისა (ე. ი. ბიუჯეტი შესრულდა 125,4 ათასი მანეთის გადამეტებით), გასავალი — 5.345,1 ათასი მანეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.675,1 ათასი მანეთისა (ე. ი. 330 ათასი მანეთით ნაკლები).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ პარტიული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, როგორც წესი, ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება, ხოლო საგასაღო ნაწილი აუთვისებელი რჩება. სახსრების ეკონომია ცუდი არ არის, მაგრამ გააჩნია — რომელი მუხლით. ეს მისასალმებელია საბიუჯეტო ხარჯებში,

1961 წელს 33,8 ათასი მანეთი ვერ იქნა ათვისებული კადრების მომზადებაზე, რაც ამ მიზნისათვის გათვალისწინებული თანხის 24 პროცენტს შეადგენს. 1962 წელს 36,3 ათასი მანეთი (25 პროც.), 1963 წელს 53 ათასი მანეთი (35,3 პროც.).

როცა კადრების მომზადების დარგში თანხების აუთვისებლობაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია შევეხოთ ცენტრალური კომიტეტის აპარატში ამ უკანასკნელ დროს მომხდარ რეორგანიზაციას, რაც ამით გამოიხატა, რომ პარტორგანოების გაწყოფილებასთან წინათ არსებული კადრების აღრიცხვის სექტორის ბაზაზე შეიქმნა ხელმძღვანელ პარტმუშაკთა აღრიცხვისა და გადამზადების სექტორი. კადრების მომზადება-გადამზადების საქმის ამ სექტორში კორდინაცია გულისხმობს უზრუნველყოფილ იქნას არა მარტო პარტიული კადრების, არამედ აგრეთვე კომკავშირული, პროფკავშირული და საბჭოთა აპარატების მუშაკების მომზადება. საჭიროა ამ სექტორმა მომავალში გააუმჯობესოს ამ დარგში მუშაობა.

თანხები აუთვისებელია კაპიტალურ მშენებლობაშიც. ამ მუხლით 1961 წელს აუთვისებელი დარჩა 110 ათასი მანეთი, 1962 წელს — 181,2 ათასი მანეთი, 1963 წელს — 64,8 ათასი მანეთი.

ზოგიერთი ობიექტი, მაგალითად, ზნაურის პარტიული კომიტეტის ადმინისტრაციული შენობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 60 ათას მანეთს შეადგენს, 1960 წლიდან შენდება, ფოთის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული შენობა (69 ათასი მანეთის ღირებულებისა) — 1961 წლიდან, ხოლო რაც უფრო საგზურაროა, 1963 წელს სრულებით შეჩერდა 1961 წელს დაწყებული მუშაობა ზუგდიდისა და ლანჩხუთის პარტიული კომიტეტების მუშაკთა სალხოვრებელი სახლებისა.

მომავალში უფრო გადამჭრელი ზომების მიღება იქნება საჭირო მშენებლობის გეგმების შესასრულებლად.

პარტიულ ბიუჯეტში დიდი ადგილი უჭირავს საწევრო ანარიცხებს. ამავე დროს ყოველწლიურად იზრდება მათი ხვედრითი წონა. 1962 წელს საწევრო შესატანის თანხამ 2.489,7 ათას მანეთს გადააჭარბა, ე. ი. გეგმის გადამეტებით 279,7 ათასი მანეთი შემოვიდა (41,5 პროც.). 1963 წელს ეს პროცენტი 46-მდე გაიზარდა. საწევრო შესატანის თანხის ასეთი გადიდება აიხსნება პარტიული რიგების ზრდით.

სკკპ წესდებისა და ინსტრუქციების შესაბამისად რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაძლიერეს მუშაობა პარტიული საწევრო შესატანის აკრეფის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში. მაგრამ არიან ისეთი პარტორგანიზაციები, რომლებიც სისტემატურად არ განიხილავენ საწევრო შესატანის აკრეფის საკითხებს და დროულად არ სახავენ საჭირო ღონისძიებებს. პარტიული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებიც ვერ უწევენ საჭირო დახმარებას პირველადს პარტორგანიზაციებს.

მარნეულის სამრეწველო პარტიულმა კომიტეტმა რაიონში არსებული 48 პირველადი პარტორგანიზაციიდან 1963 წლის 6 თვის განმავლობაში შეამოწმა მხოლოდ ორი, გეგეჭკორის სასოფლო პარტიულმა კომიტეტმა — 184 პარტიული ორგანიზაციიდან მხოლოდ რვა.

არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს ადგილობრივი სარევიზიო კომისიებიც, მაშინ როცა ისინი ვალდებული არიან პერიოდულად შეამოწმონ საწევრო შესატანის აკრეფის სისწორე და შემოსული თანხის დროული გადარიცხვა.

ახალციხის სასოფლო პარტიული კომიტეტის სარევიზიო კომისიამ 168 პირველადი პარტორგანიზაციიდან 1963 წლის პირველ ნახევარში შეამოწმა მხოლოდ 26, მაიაკოვსკის პარტიული კომიტეტის სარევიზიო კომისიამ — 159 პარტორგანიზაციიდან მხოლოდ 18, ზუგდიდის სამრეწველო საწარმოო პარტიული კომიტეტის სარევიზიო კომისიამ — 77 პარტორგანიზაციიდან მხოლოდ ორი. მომავალში ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

ამხანაგებო! წინა მოხსენებებში სარევიზიო კომისია აღნიშნავდა მნიშვნელოვან გადახარჯვას ავტოტრანსპორტის შენახვის მუხლით. მაგალითად, 1961 წელს ამ მუხლით დაშვებული იყო 41,6 ათასი მანეთის დაზახარჯვა, 1962 წელს გადახარჯვა შემცირდა 16 ათას მანეთამდე, ხოლო 1963 წელს ამ მუხლით საერთოდ ბიუჯეტში გადახარჯვა აღარ არის, მაგრამ ცალკეულმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის გურჯაანის საწარმოო სამმართველოს პარტკომი, ჯავის, ზნაურის, ლენინგორისა და სხვა რაიონების პარტორგანიზაციები, მაინც დაუშვეს გადახარჯვა ტრანსპორტის ხარჯებში.

პარტიულ ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე შემოსავალს სგგამომცემლო საქმიანობიდან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ 1962 და 1963 წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა. თუ დაგროვების გეგმა 1961 წელს 92,1 პროცენტით შესრულდა, 1962 წელს შეასრულა 104,4 პროცენტით, ხოლო 1963 წელს — 102,7 პროცენტით. ეს შედეგია კომპინატში განხორციელებული დიდი რეკონსტრუქციისა, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. საკრო კია, რომ რეკონსტრუქცია სწრაფად დამთავრდეს.

რეკონსტრუქციის შედეგად ამუშავდა საქართველოში პირველი ღრმა ბეჭდვის საამქრო, დაიდგა გაზეთის როტაციული აგრეგატი ორჯერ მეტი სიმძლავრისა, ვიდრე წინათ იყო. მას ერთ ცვლაში მილიონნახევარი ეგზემპლარი გაზეთის ბეჭდვა შეუძლია. საამწყობო პარკის სიმძლავრე 30 პროცენტით გაიზარდა.

საამქროთა საამქროში დაიდგა და კიდევ დაიდგმება ახალი მძლავრი მანქანები. მართალია, კომბინატში ძირითადად გაზეთებისა და ჟურნალების ბეჭდვაა გათვალისწინებული, მაგრამ მას თავისუფლად შეეძლება ყოველდღიურად დამატებით დამზადოს 4-5 ათასი ნიგნი (მაგარი ყდით). მაღალი ბეჭდვის მანქანათა პარკი უკვე იძლევა 25 პროცენტით მეტ პროდუქციას, ვიდრე წინათ, და მალე მიაღწევს 50 მილიონ ანაბეჭდ ფურცელ წელიწადში, ფერადი ბეჭდვის ჩათვლით.

პოლიგრაფიული ბაზის ასეთი დიდი გაფართოება შესაბამისად მოითხოვს კვალიფიციური კადრების მომზადებას. გამომცემლობას ამ მხრივ ჯერჯერობით კარგი მდგომარეობა არა აქვს.

კვლავ ირღვევა გაზეთებისა და ჟურნალების ბეჭდვის გრაფიკი, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი თანხა იხარჯება ზედმეტი საათების ანაზღაურებაზე. ამავე დროს იზრდება პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, 1963 წელს გაცდენილი საათების ანაზღაურებაზე გაცემულია 28.900 მანეთი. ეს საკმაოდ დიდი თანხაა.

აუცილებელია რედაქციებმა მტკიცედ დაიცვან ჟურნალ-გაზეთების ბეჭდვისა და გამოცემისათვის დადგენილი ვადები.

ამხანაგებო! აკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჟურნალ-გაზეთების უდოტაციოდ მუშაობის შესახებ. ამ დადგენილების შესაბამისად გასული წელს ჩვენს რესპუბლიკაში მთელრიგ ჟურნალებსა და გაზეთებს შეუმცირდათ სახელმწიფო დოტაცია. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა კი ზოგიერთ ჟურნალსა და გაზეთს აძლევს წლიური დოტაციის სახით 262.000 მანეთს, რაც გამომცემლობის მთელი დაგროვების 21 პროცენტს აღემატება. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი დახმარება გაუწიონ დოტაციაზე მყოფ ჟურნალ-გაზეთებს.

ამხანაგებო! საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დიდ და სერიოზულ ყურადღებას უთმობდნენ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვასა და დაკმაყოფილების საკითხებს.

საკმარისია ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში მარტო ცენტრალურმა კომიტეტმა ხუთჯერ შეისწავლა ეს საკითხი და ასახა სათანადო ღონისძიებანი. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი თავის დადგენილებებში მკაცრად აფრთხილებდა რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მათს ხელმძღვანელებს, რომ აღეკვეთათ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი.

სარევიზიო კომისია პერიოდულად ამოწმებდა ამ საკითხს როგორც ცენტრალურ კომიტეტში, ისე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. მდგომარეობა ამ დარგში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შემცირდა განცხადებებისა და საჩივრების რიცხვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოსულ ბევრ განცხადებაში მშრომელები გამეფებულან ამხანაგებენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკების ნაკლოვანებებს, შემოაქვთ კონკრეტული წინადადებანი, იძლევიან სიგნალებს გაფლანგვა-დატაცების თუ სხვა ბოროტმოქმედებათა შესახებ, გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს ცალკეულ საკითხებზე. პირადი ხასიათის განცხადებათა შორის უფრო მეტია განცხადებები საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ, რაც ძირითადად იმით იხსნება, რომ საბინაო მშენებლობის მაღალმა ტემპებმა, რაც ამჟამად ხორციელდება, უფრო მეტ და მეტ ადამიანს აღუძრა საბინაო პირობების გაუმჯობესების სურვილი (მაგალითად, 1962 წელს 10.000 განცხადება მარტო საბინაო პირობების გაუმჯობესებას ეხება).

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ და პროკურატურამ ამ ბოლო ხანებში მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებები განახორციელეს, რის შედეგადაც ამ ორგანოების მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი ადგილობრივი სასამართლო და საგამომძებნელო ორგანო ცუდად მუშაობს, ხელოვნურად აპიანურებს საქმის გამოძიებასა და გარჩევას, რაც აიძულებს მოქალაქეებს მიმართონ ზემდგომ ორგანოებს.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში 1961 წლის 14 აგვისტოდან 1962 წლის 2 დეკემბრამდე ქალაქ ნაბურეთოდან მოქალაქეების ვ. ს. სიმონიანისა და გ. ა. მერაბიშვილის საქმე. ამ ხნის განმავლობაში 12-ჯერ დაინიშნა და გადაიდო სამსჯავრო გამოძიება. უმაღლესმა სასამართლომ 1962 წლის 20 დეკემბერს მიიღო და 1963 წლის 5 იანვარს განიხილა ეს საქმე, ხოლო მოსამართლე ამხ. კაზაროვს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ დისციპლინარული სასჯელი დაადო.

სამუშაოზე მოწყობის შესახებ შემოსული განცხადებების ანალიზმა გვიჩვენა ისიც, რომ ზოგიერთი პირისგენა უსაფუძვლოდ მოითხოვს ხელმძღვანელ ან მათთვის ხელსაყრელ სამუშაოზე გაგზავნას.

სკკპ წევრი ამხ. ბ. კ. ბურძგლა 1961 წლის ივლისში აკარის ასსრ მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო ქონების განიავებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის გაათავისუფლა ინვალიდთა სახლის დირექტორობიდან. თავის განცხადებებში ბურძგლა ითხოვდა სამუშაოზე მოწყობას, აუცილებლად სავაჭრო სისტემაში და ხელმძღვანელ თანამდებობაზე, უარს აცხადებდა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მიერ შეთავაზებულ სხვა თანამდებობებზე. ანდა ავიღოთ გორში მცხოვრები დ. ლ. თომაშვილის საკითხი. თომაშვილმა გასული წლის მარტში განცხადებით მიმართა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს. ითხოვდა დახმარებას სამუშაოზე მოწყობის საკმეში. გამოირკვა, რომ თომაშვილი, სპეციალობით აგროტექნიკოსი, წინათ მუშაობდა „გორავჭრობის“ სისტემაში ექსპედიტორად, სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნა შტატების შემცირების გამო. იგი დაეკისრათ ითხოვდა ისევ სავაჭრო ორგანიზაციაში გაგზავნას, მაშინ როცა სოფლის მეურნეობას დიდი რაოდენობით სჭირდება ამ დარგის სპეციალისტები. ასეთი მაგალითი კიდევ ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში შემოსული წერილების, განცხადებების და საჩივრების ნაწილი ანონიმურია. ამ წერილების ავტორთა მიზანია ცილი დასწამონ, სახელი გაუტეხონ ამა თუ იმ პიროსან მუშაკს.

პარტიის წევრი 1918 წლიდან, პერსონალური პენსიონერი ა. მ. მათეევოსი ციდილობდა მომაჯანვე მეზობლის 12 კვადრატული მეტრი ოთახი თავის ოთახთან შეერთებინა, რაზეც მას ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა საკუთარ სამართლიანად უთხრა უარი. მაშინ მათეევოსოვმა დაიწყო საჩივრების გზავნა პარტიულ ორგანოებში და გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში. ამ საჩივრებში იგი ცილს სწამებდა პატიოსან საბჭოთა ადამიანებს, სახელს უტეხდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს, ბრალს სდებდა მათ ბიუროკრატიზმსა და ნაციონალიზმში. მათეევოსოვის საჩივარი შეამოწმეს ძველმა ბოლშევიკებმა, პერსონალურმა პენსიონერებმა, რომლებმაც დაადგინეს, რომ მათეევოსოვის მიერ წამოყენებული ბრალდებანი საფუძველს მოკლებული და ცილისმწამებლურია.

აღნიშნული მასალები განსახილველად და ზომების მისაღებად გადაეცა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას, სადაც მათეევოსოვი აღრიცხვაზე იმყოფება. პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ყველა მასალა და ცილისმწამებლური განცხადებებისათვის, პარტიულ კრებაზე არაგულწრფელი და უღირსი საქციელისათვის მათეევოსოვი გარიცხა სკკპ რიგებიდან.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანა განცხადება მათეევოსოვმა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომში, დაგმო თავისი საქციელი და ითხოვა პატიება. რაიკომის ბიურომ, გაითვალისწინა რა მათეევოსოვის დიდი პარტიული სტაჟი და გულწრფელი აღიარება ბიუროს სხდომაზე, გამოუცხადა მას სასტიკი საყვედური საორიენტო ბარათში შეტანით და დატოვა სკკპ რიგებში. თითქოს რაიკომი მეტისმეტად ლმობიერად მოეკიდა ამხ. მათეევოსოვს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ახლა იგი ყოველნაირად ცდილობს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას.

მშრომელთა საჩივრები საბჭოთა დაწესებულებების ცუდ მუშაობაზე არსებითად ქვემოდან კონტროლია. ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული, ფორმალურ-კანცელარიული მეთოდები არ შეესაბამება საბჭოთა ხელისუფლების ბუნებას. ამიტომ საჭიროა განუწყვეტელი ბრძოლა ვაწარმოოთ საქმის გაჭიანურების, უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი და მოითხოვდა საქმე ისე დაგვიყენებინა, რომ ზრუნვას მშრომელთა საარსებო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, უურადღებას მათი სიგნალებისადმი და მათზე სწრაფ გამოხმაურებას განემსჭვალა ყველა საბჭოთა დაწესებულების, პარტიული აპარატისა და მასი ხელმძღვანელობის საქმიანობა.

თვითეულ ჩვენგანს, პირველ რიგში ხელმძღვანელ მუშაკს, შუდამ უნდა ახსოვდეს და მტკიცედ ატარებდეს ცხოვრებაში, დიდი ლენინისა და კომუნისტური პარტიის ამ მითითებასა და მოთხოვნას.

ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება, მხოლოდ ადამიანთა კეთილდღეობისთვის არის გამიზნული. ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასია ადამიანი.

მინდა მოგაგონოთ ამ რამდენიმე ხნის წინათ „ნედელიაში“ გამოქვეყნებული, ლენინური პრემიის ლაურეატის პროფესორ ფ. გ. უგლოვის სტატია სათაურით — „სიტყვა კიდევაც კურნავს და კიდევაც კოდავს გულს“. იგი აღნიშნავდა, რომ ჰუმანურობა, თავაზიანობა, გულისხმიერი დამოკიდებულება ამხანაგებისადმი სამსახურში და ყოფაცხოვრებაში უმთავრესი პირობებია კარგი განწყობილებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. უხეშობა, ენამწარობა, უმართებულო, უსულგულო დამოკიდებულება იწვევს სერიოზულ მორალურ ტანჯვებს... ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომელთა უხეშობა მძიმე გავლენას ახდენს მათ ირგვლივ მყოფებზე და დიდიხანით გამოჰყავს ისინი წყობიდან.

ადამიანებთან—კადრებთან მიდგომისა და დამოკიდებულების საკითხებს კვლავ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოთ.

მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გარჩევა-განხილვა საკმაო დროსა და ენერგიას მოითხოვს. ამიტომ ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმას.

ბევრ ორგანიზაციას ამ მხრივ კარგი მუშაობის მაგალითი აქვს.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში მშრომელთა წერილებსა, საჩივრებისა და განცხადებებზე — ადგილობრივ ქალაქეთა მიღებისათვის — დაწესებულია პასუხისმგებელ მუშაკთა მორიგეობა. ეს უდავოდ კარგი საქმეა. მაგრამ მას აქვს უარყოფითი მხარეც. მცირე დროში ძნელია მორიგე ამხანაგი არსებითად ჩასწვდეს მოქალაქის მიერ დასმულ საკითხებს და მისცეს მას ამომწურავი პასუხი. ზოგჯერ ამას სჭირდება შესწავლა, სათანადო ორგანოებთან დაუსტება. ხშირად სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით მუშაკს მიგლინებაში უხდება წასვლა. ახლა სხვა მორიგემ უნდა მიიღოს მოქალაქენი, და ხშირად ერთი და იგივე პირი, რომელიც უკვე სხვა ამხანაგთან იყო. ეს იწვევს მთხოვნელთა საკითხის გარკვევის განხანგრძლივებას. ამიტომ საჭიროვნობა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია გამოინახოს მშრომელთა წერილების განყოფილებისათვის შტატი ერთი ინსტრუქტორისა, რომელიც სპეციალურად იმუშავებს მოქალაქეთა მიღების საქმეზე.

ამხანაგებო! გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტი, მისი პრეზიდიუმი, სამდივნო, დარგობრივი ბიუროები, სარევიზიო კომისია ახალი ენერგიით, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების დიდი გრძნობით შეუდგებიან მუშაობას და წარმატებით გადაჭრიან ყველა ამ ამოცანას, რომელიც დასახულია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის წინაშე.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ხალხთა შორის მშვიდობისა და ძმობის დიდ მედროშეს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის გენერალურ შტაბს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ნიკიტ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო

ამხ. რ. ი. ფრუიძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი

□

ამხანაგებო! ჩვენ უდიდესი ყურადღებით მოვუსმინეთ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობისადმი, რაც ვასილ პავლეს-ძე მეავანაძემ გააკეთა. ამ მოხსენებაში მოცემულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მდგომარეობის ღრმა ანალიზი, განსაზღვრულია შემდგომი პროგრესის გზები, მთელი დამაჯერებლობით არის ნაჩვენები იმ დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგები, რომელსაც ეწეოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანოები სამეურნეო და კულტურული შენებლობის ხელმძღვანელობისათვის, იმისათვის, რომ დარაზმონ რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური შენებლობის დიდი პროგრამის განსახორციელებლად.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ყრილობისათვის ემზადებოდა მრეწველობის, ტრანსპორტის, შენებლობის, კულტურის მუშაკთა ყველა კოლექტივი. სამეურნეო და კულტურულ შენებლობაში დიდი წარმატებებით შეხვდნენ ყრილობას რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები. თბილისის მრეწველობის მუშაკებმა ღირსეულად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი და ვადამდე, 24 დეკემბრისათვის დაამთავრეს 1963 წლის საწარმოო პროგრამა. ჩვენმა ქვეყანამ გეგმის გადამეტებით მიიღო 22 მილიონი მანეთის პროდუქცია. სულ კი უკანასკნელ ორ წელიწადში გამოშვებულია 50 მილიონი მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია, შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება შესრულებულია 1,8 პროცენტის გადამეტებით, პროდუქციის თვითღირებულების შეკცირებით მიღებული ეკონომია ექვს მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. 1963 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წელთან შედარებით, ანუ შვიდწლიდის ხუთ წელიწადში, 46 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება —23,9 პროცენტით.

დიდი მუშაობაა გაწეული მრეწველობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. შვიდწლედის დასაწყისიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მარტო თბილისის სამრეწველო საწარმოებში დაიდგა 219 ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, 2 ათასამდე ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხი, მანქანა და აგრეგატი, მოდერნიზებულია აღჭურვილობის ორი ათასზე მეტი ერთეული, ფასერგილია 387 სხვადასხვა საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობა და მექანიზმი.

ტექნიკურ პროგრესში დიდი წვლილი შეაქვს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მრავალთასიან რაზმს. შვიდწლედის მანძილზე ქალაქის საწარმოებში დაინერგა 25 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რამაც 16 მილიონამდე მანეთი ეკონომია მოგვცა.

ნაყოფიერად მუშაობენ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის ჩვენი მეცნიერები და კონსტრუქტორები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკები. შეიქმნა და ათვისებულია ბევრი ახალი სახეობის მაღალი წარმადობის მანქანა, მექანიზმი, აპარატი და ხელსაწყო, სახალხო მოხმარების საქონელი.

ახლა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც ახალი ფართო ჰორიზონტები გადაშალეს ქიმიური მრეწველობის მძლავრი აღმავლობისათვის, სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წ.) პლენუმის შემდეგ თბილისის საწარმოებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში განხორციელდა გარკვეული ღონისძიებანი წარმოებაში ქიმიის პროდუქტების გამოყენების გასაფართოებლად, ოამაც დადებითი შედეგი მოიტანა. ახლა ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. ქალაქის კომუნისტებმა განსაკუთრებულ კონტროლს ახორციელებენ ემპირიულ საწარმოთა საქმიანობისაში, მათი რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის საქმისადმი. ჩვენ სულ უფრო დიდ ყურადღებას ვუთმობთ ქიმიური ნედლეულის გადამამუშავებელ და მომზხმარებელ არხნებსა და ფაბრიკებს. გრძელდება მუშაობა იმისათვის, რომ მაკსიმალურად გამოიყენონ პლასტმასები ძვირადღირებული ფერადი ლითონების შესაცვლელად მანქანების დეტალების დამზადებისას. ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა უზრუნველვყოთ პარტიის გადაწყვეტილებათა უთუოდ შესრულება.

საანგარიშო ორ წელიწადში შესამჩნევი წარმატებანი მოიპოვეს თბილისის მშენებლებმა. ქალაქში მუყობრნი ჩადგა მრეწველობის, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის 50-მდე ობიექტი, მათ შორის სასტუმროები „აფხაზეთი“, „კოლიდორი“, ავტოტურისტების სასტუმრო, 600-საწოლიანი საავადმყოფო და პოლიკლინიკა ლენინის რაიონში, სამშობიაროა ახლი და ახალი ხიდი კიროვის რაიონში და ბევრი სხვა. მწყობრში ჩადგა 8 ახალი ბოლო, რამდენიმე საბავშვო ბაღი და ბავშვი.

თვითეული თბილისელი გრძნობს, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენი პარტია და მთავრობა მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისათვის. ამას ნათლად ადასტურებს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ზრდა. ბინათმშენებლობის უმაგალითო გაქანება ჩვენს ქალაქში. საკმარისია ითქვას, რომ 1962 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულია ორნახევარჯერ ძეტი საცხოვრებელი სახლი, ვიდრე 1957 წელს. 1963 წელს კი მშენებლებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, საექსპლოატაციოდ გადასცეს 220 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში თბილისის 15 ათასადე ოჯახი შესახლდა ახალ ბინებში.

ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოები იმის მეოხებით განხორციელდა, რომ კიდევ უფრო განვითარდა სამშენებელო ინდუსტრიის ბაზა. 1958 წელთან შედარებით ასაწყობი რკინაბეტონის წარმოება გადიდდა სამჯერ და უფრო მეტად, დიდი საკედლე ბლოკებისა — რვაჯერ. მართან, ძაგალითად, დიდი ბლოკებისაგან და პანელებისაგან აშენდა 135 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ერთი ძალიონი მანეთის სამშენებელო-სამონტაჟო სამუშაოებზე ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენების დონე მარტო მთავართბილისმშენში გაიზარდა 36 პროცენტით.

მაგრამ ქალაქის პარტიული ორგანიზაცია კარგად ხედავს, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, რომ გამოყენებული არ არის ყველა რეზერვი.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში 1961 წლის მაისში ამხანაგმა ხ. ხრუშჩოვმა აღნიშნა ცვლაობის კოეფიციენტის ამაღლების ფაქტორი, როგორც ერთ-ერთი მთავარი საშუალება მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდებისა. ჩვენ გამოვიანგარიშეთ, რომ თუ ქალაქ თბილისის მარტო მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში - (სადაც ცვლიანობის საშუალო კოეფიციენტი უდრის 1,3-ს) ავამაღლებთ ამ კოეფიციენტს ორამდე, მაშინ მეიძლება იმავე ფართობებზე პროდუქციის გამოშვება გავადიდოთ დაახლოებით 40 მილიონი მანეთით წელიწადში.

დღეს ეშვი აღარავის ეპარება, რომ ამის გაკეთება აუცილებელია. მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭიროა ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელება, როგორიც არის წარმოების შეძდგომი სპეციალიზაცია, ქარხნებსა და საამქროებში მოწყობილობის დატვირთვის დაგეგმვის დაუმჯობესება, დაძაბულებული ბაზის გაფართოება და ბევრი სხვა.

მომავალშიც უნდა განვახორციელოთ ყველაზე შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, შევამციროთ ხელის შრომის წილი, რომელიც ამჟამად სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებელო ძრეწველობის მარტო თბილისის საწარმოებში 45 პროცენტს აღწევს. ამ საწარმოებში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის მხოლოდ 20 პროცენტით ამაღლება მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს მუშების შრომას, გაათავისუფლებს დაახლოებით 1.000 კაცს, რომელთა გამოყენება შეიძლება ძირითადი საწარმოო ოპერაციებისათვის.

ბევრი გამოუყენებელი რეზერვია მშენებლობაშიც. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება მშენებლობაში ასაწყობი მსხვილ-პანელიანი და მსხვილბლოკიანი კონსტრუქციების შემდგომ უფრო ფართო დანერგვას, იგრეთვე რკინაბეტონის ნაკეთობათა ღირებულების შეკცირებას, რომელიც ჯერჯერობით საკმაოდ დიდია.

თბილისის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს საბინაო მშენებლობის გაფართოებას ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში, უპირატესად მრავალსართულიანი შენობების ხარჯზე.

მრავალსართულიანი განაშენიანება, რომელიც ქალაქის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ინტერესებს შეესაბამება, დიდ რეზერვებს შეიცავს. იგი ხელს შეუწყობს ქალაქის მიწების გონივრულ გამოყენებას, არსებული რაიონების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის დროს უფრო გამომსახველი ანსამბლების შექმნას. ამასთან მკვეთრად გაიზრდება საბინაო მშენებლობის, განსაკუთრებით საინჟინრო-სატრანსპორტო ნაგებობებისა და ყოველგვარი კომუნიკაციებისათვის კაპიტალდაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობა.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა რესპუბლიკის სახმშენისა და მშენებლობის სამინისტროს შესახებ.

საქმე ის არის, რომ იმ საცხოვრებელი სახლების პროექტები, რომლებსაც მოავალი წლის გამოვლენაში აშენებენ თბილისში, მნიშვნელოვან დამუშავებას და გაუმჯობესებას მოითხოვს, რადგან არ შეესაბამება საბინაო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის მოთხოვნებს. ამის თაობაზე არის სსრ კავშირის სახმშენის სპეციალური მითითება. მძიმე მდგომარეობაში გვაყენებს ისიც, რომ არა გვაქვს 9-12-სართულიანი სახლების დიდპანელიანი მშენებლობის ახალი ტიპური პროექტები, აგრეთვე ის, რომ ამისათვის მზად არ არის სამშენებლო ინდუსტრია. მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის სახმშენმა უფრო ოპერატიულად უნდა გადაჭრას ამ პროექტების შემუშავებისა და დამტკიცების საკითხი.

ახალი ტიპური პროექტების შემუშავებისა და დამტკიცებისას მიზანშეწონილია შევამციროთ ერთოთთახიანი ბინების რაოდენობა ორ, სამ და ოთხოთახიანი ბინების რიცხვის გადიდების გზით. ამასთან მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულების შემცირებას, მაგრამ ამისათვის არ უნდა ამოვიღოთ დაპროექტებული ობიექტები და საჭირო ელემენტები და დეტალები, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა წინათ. ასეთი „გაიაფება“ მნიშვნელოვნად აძნელებს ექსპლოატაციას და საბოლოო ანგარიშით უფრო ძვირი ჯდება.

ამხანაგებო!

ჩვენმა პარტიამ, სკკპ XXII ყრილობაზე, თავის ახალ პროგრამაში დასახა ამოცანა — აღეზარდოთ ახალი ადამიანი, რომელსაც უყვარს შრომა და იცის შრომა, ადამიანი, რომელშიც ჰარმონიულად იქნება შერწყმული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

ეს კონკრეტული, პრაქტიკული სადღეისო ამოცანაა, რის განხორციელებასაც ახლა ხმარდება ქალაქის პარტიული ორგანიზაციების, იდეოლოგიური ფრონტის მუშათა მრავალთასიანი არმიის მთელი საქმიანობა.

საანგარიშო პერიოდისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა პარტიული პროპაგანდის გაკვლენის სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოება. აღსანიშნავია, რომ წელს თბილისში ყოველი მეოთხე მცხოვრები სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ეუფლება პოლიტიკურ და ეკონომიურ მეცნიერებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სამეურნეო კადრების აღზრდას. გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა.

ამ მუშაობის დადებითი შედეგები უკვე გვაქვს. იგი აისახა თბილისის მშრომელთა საქმეში. სწორედ ამას მოწმობს შესანიშნავი წამოწყება ელმავალმშენებელთა კოლექტივისა, რომლებმაც გაშალეს ბრძოლა წარმოების კულტურისათვის, პატრიოტული ინიციატივა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატ ამხ. ცინცაძეშვილისა, რომელმაც წამოიწყო შეჯიბრება თავის პროფესიაში საუკეთესო მუშის წოდებისათვის, და ბევრი სხვა რამ, რაც ფართოდ გავრცელდა არა მარტო თბილისში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც.

მუშების თავდადებული შრომა, მოვალეობის ღრმა შეგნება მკაფიოდ ვლინდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში, რომელიც სულ უფრო ფართოვდება. ახლა თბილისში 75 ათასამდე კაცი, 2.500-ზე მეტი საწარმო, საამქრო, ბრიგადა და უბანი ღირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის დამკვრელისა და კოლექტივის წოდებას ან წარმატებთან იბრძვის ამ წოდების მოსაპოვებლად.

მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების ამოცანა მარტო ქარხანასა და ფაბრიკაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე, სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში რადი წყდება, არამედ ქუჩაშიც, ოჯახშიც, საზოგადოებაშიც, ერთი სიტყვით, მუდამ და ყველგან. ამის საფუძველზე თბილისის პარტიული ორგანიზაცია უკანასკნელ ხანს მეტ ყურადღებას უთმობს მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში მუშაობას, იგრეთვე ადამიანების კულტურული დასვენების მოწყობას. ასეთი მიდგომა მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდისადმი ყველაზე ეფექტიანად მიგვაჩნია, რადგან ცნობილია, რომ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ წარმოების გარეთ, თავისუფალ დროს ხდება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად ვხვდებით ლოთობას, ხულიგნობას, კინოთეატრებში, კლუბებში, პარკებში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს, განსაკუთრებით მასობრივი სპორტული და სანახაობითი ღონისძიებების დღეებში, რაზეც, სხვათა შორის, სამართლიანად და დროულად მიგვითითა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ეს ფაქტები, თუნდაც იშვიათი იყოს, მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი ახალგაზრდობასთან იდეურ-აღმზრდელობითის მუშაობაში. თბილისის პარტიული ორგანიზაცია ამჩნევს ამ ნაკლოვანებებს და თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია კიდევ უფრო ამაღლოს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და თვითეული კომუნისტის როლი და პასუხისმგებლობა ჩვენი ქალაქის შრომელთა აღზრდისათვის.

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის თბილისის ორგანიზაცია შეეგება ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო უფრო მჭიდროდ შეკავშირებული, ვიდრე ოდესმე წინათ, და მზად არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმატებით გადაწყვიტოს ამოცანები, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ დაუსახა საბჭოთა ხალხს.

ნება მიბოძეთ თბილისის კომუნისტთა 60-ათასიანი არმიისა და ყველა შრომელის სახელით დავუთქვა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას, რომ ძალსა და ენერგიას არ დავიშურებთ, რათა ვადამდე შეეასრულოთ შვიდწლედის დიადი გეგმები, ახალ წარმატებებს მივაღწიოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. (ტაში).

ამხ. ა. დ. თხილაიშვილის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

□

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მთელი სისრულით არის გაშუქებული დიდი შემოქმედებითი მუშაობა, რაც ამ ბოლო ორი წლის მანძილზე გასწიეს რესპუბლიკის მშრომელებმა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. ძოხსენებაში დაფარულებით არის გაშუქებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა სავსებით შეესაბამება სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებში დასახულ კურსს.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ წელს საქართველოს მშრომელებმა სამჯერ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება. ამ წარმატებათა მოპოვებაში საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად თავიანთი წვლილი აჭარის მშრომელებმაც შეიტანეს.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას შეხვდა იდეურად და ორგანიზაციულად კიდევ უფრო გამბტკიცებული, მჭიდროდ შეკავშირებული ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. იგი წარმატებით წყვეტს მის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ამხ. თხილაიშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომლებიც აჭარის მშრომელებმა მოიპოვეს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობამ მნიშვნელოვნად გაადიდა პროდუქციის მოცულობა. წარმოების ზრდამ 1963 წელს 1961 წელთან შედარებით 12 პროცენტი შეადგინა. საერთო პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა 103,6 პროცენტით შესრულდა, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 6.935 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა 103 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულების შეკცირების გზით დაიზოგა 633 ათასი მანეთი.

მაგრამ მიღწევებთან ერთად საწარმოთა მუშაობაში ხაკლოვანებანიც არის. 70 საწარმოდან 12 საწარმომ ვერ შეასრულა სახელმწიფო გეგმა და სამშობლოს დააკლო 2500 ათასი მანეთის პროდუქცია. ჩამორჩენილ საწარმოთა შორის არის ტყავისა და კოფეინის ქარხნები, ხისდასამუშავებელი და ციტრუსების კომბინატები, ქობულეთის ბამბეულის ფაბრიკა და სხვ. ამ საწარმოთა უმრავლესობამ გეგმის შესრულება ვერ შეძლო შრომის ცუდი ორგანიზაციის გამო. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა საწარმომ გეგმები ვერ შეასრულა იმის გამო, რომ საკმარისად არ იყო ხელდასული.

პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ქიმიური მრეწველობის შემდგომ ძლიერ განვითარებასა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციას. განხილილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები, აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ქიმიური მრეწველობის ზოგიერთი სახეობის პროდუქციის წარმოების შემდგომ გადიდებას.

დელეგატი შეეხო მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც უნდა გადაიჭრას. კერძოდ იგი შეეხო ქარხანა „ელექტროკარის“ მშენებლობის საკითხს. ამ ქარხნის მშენებლობა, რომლის წლიური საპროექტო სიმძლავრე 10 ათას ცალ ელექტროკარს შეადგენს, 1963 წელს დაიწყო. მაგრამ ქარხნის მშენებლობა ამოღებულია 1964 წლის სატიტულო სიიდან. ამასთან შარშან ქარხნის მშენებლობისათვის ათვისებულ იქნა 324 ათასი მანეთი. გარდა ამისა, უკვე დამზადებულია ასაწყობი ოკინა-ბეტონის კონსტრუქციები, რაც თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს ძირითადი კონტიპუსის დამთავრებას. დელეგატი სვამს საკითხს, რომ გაგრძელდეს მშენებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიზანშეწონილი არ იქნება ამჟამად ამ ქარხნის პროფილი, მაშინ იგი გამოყენებულ იქნას ქიმიური პროდუქციის გამოსაშვებად ან მრეწველობის რომელიმე სხვა დარგისათვის.

ამ ბოლო წლების მანძილზე აჭარაში ფართოდ განვითარდა მშენებლობა. 1963 წელს კაპიტალური მშენებლობისათვის გამოიყო 31 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე 1961 წელს. 1962-1963 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 42 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მაგრამ მშენებლობის დარგში სერიოზული ნაკლოვანებებია. № 5 საერთო სამშენებლო ტრესტმა ვერ უზრუნველყო 1963 წლის სამშენებელო სამუშაოთა გეგმის შესრულება. გასულ წელს არ დამთავრებულა მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა და აუთვისებელი დარჩა ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრები. ჯერ კიდევ დაბალია სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი.

მიუხედავად იმისა, რომ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს ყოველწლიურად ვითვისებთ, მშრომელთა მოთხოვნილებანი ბინებზე არ კმაყოფილდება. გაითვალისწინა რა ეს გარემოება, ორატორმა სთხოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს მთავრობას დახმარება გაუწიონ სახლთმშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციაში და გაითვალისწინონ საბინაო მშენებლობისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა.

სულ უფრო ვითარდება აჭარის სოფლის მეურნეობა. საანგარიშო პერიოდში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ახალი წარმატებანი მოიპოვეს ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში. შარშან აჭარის მეჩაიეებმა მოკრეფეს და სახელმწიფოს მიაყიდეს 31.265 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმაზე 4.265 ტონითა და ვალდებულებაზე 265 ტონით მეტი. საშუალოდ ჰექტარ სრულმოსავლიან პლანტაციაში მოკრეფილია 5.209 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც მსოფლიო რეკორდია. გასულ წელს აჭარის მეციტრუსეებმა უმაგალითო მოსავალი მოიყვანეს და სამშობლოს მისცეს 28.550 ტონა ციტრუსები.

ორატორმა დაასახელა მოწინავე მეურნეობები, ბრიგადები და რგოლები, უხვი მოსავლის ოსტატები, რომლებმაც უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს. მაგალითად, სოფელ ქვედა ოქაჩის კოლმეურნეობაში 90 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილია 7.643 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილია 7.007 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატმა სოფელ ქაქუთის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნემ ე. ზაქარიაძემ მისთვის მიჩენილ 0,6 ჰექტარ ნაკვეთში მოკრიფა 14.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს 1964 წელს 5.300 კილოგრამამდე გაადიდონ ჩაის ფოთლის საწუალო მოსავლიანობა ჰექტარზე და სახელმწიფოს მიაყიდონ 32 ათასი ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. ნაკისრია ვალდებულება — 30 ათას ტონამდე გაადიდონ ციტრუსების მოსავალი. ამისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ეს ამოცანა, დელეგატი სთხოვს ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს დახმარება გაუწიონ იმაში, რომ საჭირო რაოდენობით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობა მინერალური სასუქებითა და ციტრუსების დაავადებათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებებით.

ამხ. თხილაიშვილი აღნიშნავს ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის სოფლის მეურნეობაში. ჩამორჩენილი დარგებია მეთამბაქოობა და მეცხოველეობა. უკანასკნელ ორ წელიწადში ვერ სრულდება სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის გეგმები. ეს იმის შედეგია, რომ საკმაოდ არ წარმოებს ბრძოლა თამბაქოს დაავადებათა წინააღმდეგ. ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ თავის მოხსენებაში საკმაოდ სამართლიანად გააკრიტიკა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ამ მხრივ. ამ კრიტიკულ შენიშვნებს მთლიანად გავითვალისწინებთ.

ნელა იზრდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა. იმის გამო, რომ შესაბამისი საკვები ბაზა არა აქვთ, მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, ვერ სრულდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები. ახლა ხორცეულდება მეცხოველეობის აღმავლობის ღონისძიებანი. ბათუმის მახლობლად შექმნილია მერძევეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა; ქობულეთის მეგოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში იქმნება მერძევეობის ფერმა. ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელება უეჭველია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქალაქებისა და კურორტების მომარაგების რძით.

მეთამბაქოობისა და მეცხოველეობის ჩამორჩენამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელ რიგ კოლმეურნეობათა ეკონომიკაზე. აჭარაში არის 165 კოლმეურნეობა, აქედან 63 ნაკლებად მძლავრი მეურნეობაა. ეკონომიურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ძირითადად მაღალი მთის ზონებშია. პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა შეასრულონ იმისათვის, რომ მოწინავეთა დონემდე აიყვანონ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები. ამისათვის შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი ცალკეული მეურნეობებისათვის.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. თხილაიშვილმა მიუძღვნა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამას ფიდად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის (1962 წელი) გადაწყვეტილებებმა, რომელთა საფუძველზე ბრძოლა გაფართოვდა პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა საწარმოო პრინციპით. სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული და მიზანსწრაფული გახდა.

მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. სახალხო მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგები ძირითადად დაკომპლექტებულია კვალიფიციური, თავისი საქმის კარგად მცოდნე მუშაკებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპეციალისტთა დაწინაურებას. მაგრამ კადრების შერჩევისა და განაწილებაში არის ნაკლოვანებანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორად აღნიშნა ეს ნაკლოვანებანი. აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ შესაბამისი დასკვნები დასახა ამ კრიტიკიდან.

უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვლის პლენუმის შემდეგ, აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა იდეოლოგიური მუშაობა. 1963-1964 სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობდა 51 ათასზე მეტი კაცი. ამჟამად საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში საგაგეცაცო-მასობრივ მუშაობას ეწევა 8 ათასზე მეტი აგიტატორი. სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა მნიშვნელოვნად განამტკიცეს ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების კავშირი. აჭარის მშრომელთა სახელოვანი საქმეები აისახა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნაწარმოებებში.

მაგრამ იდეოლოგიურ მუშაობაშიც არის ნაკლოვანებანი. არის შემთხვევები, როცა ეს მუშაობა მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

აჭარის მშრომელები საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას შეხვდნენ ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. მთელ თავიანთ მიღწევებს ისინი უნდა უმადლოდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელ ზრუნვას, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

ამხ. თხილაიშვილმა აღუთქვა ყრილობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ აჭარის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს თავის რიგებს, მთელ ძალღონეს მოახმარს იმას, რომ დარაზმოს მშრომელები იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ დასახა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში. (ტაში).

ამხ. ვ. თ. გლაუბას სიტყვა

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

□

ამხანაგმა ვ. პ. მეკავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ვრცელ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ნათლად დაგვანახვა, თუ რა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომუნისტებმა ჩვენი პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათ

საკლესიო განცხადება

საერთაშორისო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა დაძაბული მდგომარეობა, რომელიც ამ ბოლო დროს შეიქმნა კვიპროსის გამო. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, და უწინარეს ყოვლისა ინგლისმა, რომელიც თითქმის საუკუნის მანძილზე ბატონობდა კვიპროსში, როგორც თავის კოლონიაში, გამოიყენეს კვიპროსში მცხოვრები ორი ძირითადი ეროვნების კვიპროსელების — ბერძნების (მოსახლეობის 78 პროცენტი) და თურქების (18 პროცენტი) შეხლა-შემოხლა, შეტაკებები და საშინაო-პოლიტიკური უთანხმოებანი კონსტიტუციის საკითხის გამო და ცდილობენ ჩაერიონ ამ პატარა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. ამ მიზნით 15 ნოემბერს ლონდონში მოწვეულ იქნა ეგრეთწოდებული „საერთაშორისო კონფერენცია“ კვიპროსის შესახებ ინგლისის, თურქეთის, საბერძნეთის, აგრეთვე კვიპროსის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ კონფერენციის მუშაობა და უთანხმოებები, რომლებმაც თავი იჩინეს კონფერენციაზე, ფართოდ არის ცნობილი საერთაშორისო პრესის საშუალებით.

კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას აცნობა, რომ ამჟამად აგრესიის სერიოზული საფრთხე შეექმნა კვიპროსს. აგრესიული მოქმედება, რაც უკვე აღარ არის საიდუმლოება და რასაც დასავლეთის ქვეყნების პრესაში განხილავენ, იწვევს როგორც კვიპროსელი ხალხის, ისე სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა სამართლიან აღფოთებას. ამბების ასეთ განვითარებასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი.

კვიპროსის გამო მომხდარი ამბები და აგრესიის საფრთხე, რომელიც ამ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოს დასტრიალებს თავს, მარტო კვიპროსელების საქმე როდი. ეს შეეხება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებსა და საერთაშორისო ურთიერთობის დიდ პრინციპულ საკითხებს. კვიპროსის რესპუბლიკა პატარა ქვეყანაა, იქ ცხოვრობს დაახლოებით 580.000 კვიპროსელი, მაგრამ კვიპროსს აქვს ისეთივე უფლება პატივი სცეს მის დამოუკიდებლობას, როგორი უფლებაც აქვს ყველა სხვა დიდ თუ პატარა სახელმწიფოს. ან ეს ასეა, ან მსჯელობა სახელმწიფოთა ეროვნული თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის შესახებ ხდება ტყუილად შინაარსს მოკლებული გაბერილი ფრაზა.

სწორედ ამას — კვიპროსის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფას — ისახავენ მიზნად ლონდონის კონფერენციაზე, ადგენენ გეგმას რაღაც საერთაშორისო ჯარების შექმნის შესახებ თითქოს იმისათვის, რომ კვიპროსელებისაგან დაიცვან კვიპროსელები. ჯარებს ხატავენ როგორც საერთაშორისო ჯარებს, სინამდვილეში კი ესენი არიან ნატოს აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების ჯარები, და ჯარების გაგზავნას კვიპროსში აპირებენ ნატოს დიდი სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა ისინი, რომლებსაც უკვე სწევეიათ თავისი ჯარები გამოიყენონ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ როგორც ძალები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ამ მოძრაობისადმი. ამტკიცებენ, ეს ჯარები წესრიგს დაამყარებენ კვიპროსში, დაიცავენ კვიპროსსა და კვიპროსელებსო. იქნებ დასავლეთის ზოგიერთ დედაქალაქში ფიქრობენ, რომ ადამიანები დედამიწაზე გონებაშეზღუდული გახდნენ და სჯერათ, რომ ასეთ ჯარებს შეუძლიათ ემსახურონ ამგვარ მიზანს? საღი გონება გვიკარნახებს, რომ სახელმწიფო, რომელიც ათწლეულების მანძილზე ცდილობდა დაემორჩილებინა კვიპროსი, დაეთრგუნა მისი მოსახლეობა, შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო ბაზა და იქიდან დამუქრებოდა მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს, სრულიადაც არ ვარგა იმისათვის, რომ დაიცვას კვიპროსის ხალხი. დაპყრობა წარსულში ხშირად მოჩვენებითი მეგობრობის ნიღბით წარმოებდა, ახლა კი უნდათ, რომ ხანგრძლივი და მამაცური ბრძოლის შემდეგ კვიპროსელები მოტყუებით კვლავ დაიმონონ. თითოეული სახელმწიფო ზრუნავს თავისი დაცვისათვის. მაშ კვიპროსელებმა თვითონ რატომ არ უნდა ქნან ეს? რატომ უნდა იყვნენ კვიპროსელები იძულებული სხვას დააკისრონ ეს? ნატოს დიდი სახელმწიფოები — ინგლისი და შეერთებული შტატები — აპირებენ კვიპროსში გაგზავნონ თავიანთი ჯარები. ამასთან მათ უნდათ ამ სამარცხვინო და საშიშ საქმეში გარიონ კვიპროსის ზოგიერთი მეზობელი ქვეყანა, რათა პატარა სახელმწიფოს მგერდზე მიაბჯინონ ხიშტი. და ამას ჰქვია კვიპროსის საკითხის გადაჭრა.

სადღაა დამოუკიდებელი ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემა? შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობა შეიქმნებოდა მსოფლიოში, სხვა სახელმწიფოებმა თავიანთი შეხედულებისამებრ, რომ გაგზავნონ შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნებში, სადაც წარმოიშობა საშინაო ხასიათის კონფლიქტები. ასეთ მოქმედებას ჯერ არასდროს არ მოჰყოლია, და არც შეიძლება მოჰყვეს ასეთი კონფლიქტების გადაჭრა. პირიქით, ეს მოქმედება ამწვავებს ვითარებას და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

1960 წლიდან არსებობს კვიპროსის რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც მოასწრო ამ მოკლე ვადაშიც კი მოეპოვებინა ფართო აღიარება თავისუფალ სახელმწიფოთა ოჯახში ნეიტრალიტეტისა და აგრესიული ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკის მეოხებით. მხოლოდ გამოუსწორებელ კოლონიზატორებს შეუძლიათ XX საუკუნის მეორე ნახევარში საეჭვო გახადონ თითოეული, — ვიმეორებთ თითოეული, — ხალხის ის უდავო უნარი, რომ წარმატებით აშენოს თავისი ცხოვრება და თავისი სახელმწიფო ისე, როგორც მას სურს.

ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ინდოეთი, ინდონეზია, აღერია, განა, მალი, ბირმა, ცეილონი, რომლებსაც საუკუნეობით ჩაგრავდნენ ყოველნაირად, ბორკილგაყრილი იყვნენ, ჩანაგდებოდნენ და რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე ვეღარ მოქმედებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე როგორც დამოუკიდებელი ძალა, უკვე მთელ მსოფლიოს მოევლინენ ენერგიითა და ღირსებით აღსავსენი. მათ მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და საერთაშორისო უფლებანი, აქტიურ მონაწილეობას იღებენ მსოფლიო ცხოვრებაში. ვინ დაიჯერებს იმას, რომ კვიპროსის მოსახლეობა ყველა სხვა ხალხის გამოცდილებით ათასგზის დამტკიცებული ამ წესის გამონაკლისია? ვინ დაიჯერებს, რომ კვიპროსელებს არ შეუძლიათ მართონ თავიანთი ქვეყანა და მათ აუცილებლად სჭირდებათ ის, რომ იქ მართონ და იბატონონ უცხოეთის ჯარებმა, რომლებისგანაც დღესაც არ არის მთლიანად გაწმენდილი კვიპროსი?

შექმნილ ვითარებაში საჭიროა განხორციელდეს ყველა ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეროვნებათა შეხლა-შემოხლის შენელებასა და ლიკვიდაციას კვიპროსში, საწვავი მასალის მოსპობას. კვიპროსისადმი მიძღვნილი ლონდონის კონფერენციის ზოგიერთი მონაწილე კი საქმეს ისე წარმართავს, რომ გაამწვავოს ვითარება, რომ ითქვას — მხოლოდ ტყვიამფრქვევები, ზარბაზნები და თვითმფრინავები — აი საშუალებანი, რომელთა გამოყენება შეიძლება წესრიგის უზრუნველსაყოფად კვიპროსში.

თითოეულ ადამიანს, რომელიც იცნობს ამ ბოლო კვირების ამბების განვითარებას კვიპროსში, უნებლიედ ებადება კითხვა, ხომ არ იწვევენ შეგნებულად გარეშე ძალები ეროვნებათა შეტაკებებსა და ხოცვა-ჟლეტას კვიპროსში, რომ მერე კვიპროსელებს — ბერძნებსაც და თურქებსაც — დაადგან ახალი უცხოური კოლონიური უღელი. კვიპროსის ხალხი, მის მიერ არჩეული მთავრობა, კვიპროსის პრეზიდენტი, არქიეპისკოპოსი მაკარიოსი გადაჭრით ილაშქრებენ კვიპროსის საქმეებში უცხოელთა ჩარევის წინააღმდეგ, უარყოფენ კოლონიზატორულ მეურვეობას, რომელსაც თავს ახვევენ კვიპროსს. და მაინც ასეთი ჩარევა მზადდება. საბაბად უნდათ გამოიყენონ ეროვნებათა შეხლა-შემოხლა.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რათქმა უნდა, გამოცდილებით, რა მოჰყვება ხოლმე ერებისა და ხალხების დავას. მეფის რუსეთში სპეციალურად აქეზებდნენ ერთიმეორის წინააღმდეგ სხვადასხვა ერსა და ხალხს, იყო ერთი ხოცვა-ჟლეტა და დავა. მეფის სატრაპები ხელს იფშვნეტდნენ სიამოვნების გამო. საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა მოგვიწოდა წარსულის ამ სამარცხვინო მემკვიდრეობის გადაჭრით აღმოფხვრა. სადავო საკითხები გადაიჭრა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის საფუძველზე, ამასთან საგარეო პოლიტიკაშიც საბჭოთა კავშირი მუდამ ყველაზე მაღლა აყენებდა მშვიდობის განმტკიცებასა და ხალხთა ძმურ სოლიდარობას ყოველი საკითხის, მათ შორის ტერიტორიული საკითხის გადაჭრის დროს.

თითოეული სახელმწიფოს ყველა საშინაო საკითხის გადაჭრა მისი საშინაო საქმეა. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს კვიპროსის მთელი ხალხის იმ კანონიერ მისწრაფებას, რომ უზრუნველყოს თავისი დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული ხელშეუხებლობა, და გმობს კვიპროსის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უცხოეთის ჩარევის ყოველ ცდას, რა საბაბით და რა ფორმითაც უნდა ხორციელდებოდეს იგი. მხოლოდ კვიპროსელ ხალხს აქვს უფლება გადაჭრას თავისი შემდგომი გაგნთიანების საკითხები. ყოველი ჩარევა კვიპროსის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევა იქნება. და უშიშროების საბჭო, როგორც ორგანო, რომელსაც დაკისრებული აქვს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დაცვის ამოცანა, არ შეიძლება გულგრილი იყოს; მან უნდა თქვას თავისი სიტყვა, დაიცვას ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს: საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში გამოთქვამენ იმედს, რომ კვიპროსის გამო არ მოხდება საერთაშორისო გართულება, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას მშვიდობის საქმეს ამ რაიონში. კეთილგონიერება უნდა გამოიჩინონ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმაც, რომლებმაც რატომღაც გადაწყვიტეს მიითვისონ უფლება ეჩეოდნენ კვიპროსისა და მისი მეზობელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში. მათ თავი უნდა შეიკავონ ისეთი ნაბიჯებისაგან, რომლებსაც შეიძლება ბოლამდე ვითარების გართულება მსოფლიოს ამ რაიონში.



ხაბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი მედალი. იგი ამას წინათ გამოუშვა პარიზის ზარაფხანამ. მედლის წინა მხარეზე გამოსახულია ვ. ი. ლენინის პორტრეტი, უკანა მხარეზე — დედამიწის ნახევარსფერო, რომელიც დაფარულია დიდი მოაზროვნის წიგნებით. ეს ნახატი სიმბოლოა ლენინის იდეების გავრცელებისა მთელ მსოფლიოში.

ფოტო კეისტონ-საკდესისა.

მიფრინავენ „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“

საკდესის ცნობა

ატმოსფეროს ზედა ფენებისა და კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1964 წლის 30 იანვარს საბჭოთა კავშირში წარმატებით განხორციელდა კოსმოსური სისტემის „გაშვება. სისტემაში არის ორი სამეცნიერო სადგური (დედამიწის თანამგზავრი) „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“, რომლებიც არსებითად განსხვავებულ ორბიტებზე გაიყვანა ერთმა მძლავრმა მატარებელმა რაკეტამ.

კოსმოსური სადგური „ელექტრონი-1“ მატარებელ რაკეტას გამოეყო ფრენის აქტიურ უბანზე, როცა მუშაობდა უკანასკნელი საფეხურის ძრავა.

მას შემდეგ, რაც გამოეყო კოსმოსური სადგური „ელექტრონი-1“, მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხური განაგრძობდა ფრენას გათვალისწინებული ტრაექტორიით და, როცა საჭირო სიჩქარე განავითარა, ნავარაუდევ ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური სადგური „ელექტრონი-2“.

წინასწარი მონაცემებით, კოსმოსური სადგურები გაყვანილია ორბიტებზე, რომლებიც უახლოვდება გაანგარიშებულს. მათი პარამეტრებია:

„ელექტრონი-1“ — სიმაღლე პერიგეაში 406 კილომეტრი სიმაღლე აპოგეაში 7.100 კილომეტრი

„ელექტრონი-2“ — სიმაღლე პერიგეაში 460 კილომეტრი სიმაღლე აპოგეაში 68.200 კილომეტრი.

სადგურების მიმოქცევის პერიოდი შეადგენს შესაბამისად 2 საათსა და 49 წუთს და 22 საათსა და 40 წუთს. კოსმოსური სადგურების ორბიტების სიბრტყის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყისადმი შეადგენს 61 გრადუსს.

კოსმოსურ სადგურებში დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რადიოტელემეტრიული სისტემები და რადიოგადამცემები „სიგნალი“ და „შუქურა“, რომლებიც მუშაობენ 19,943; 19,954; 20.005; 30,0075; 90;225 მეგაჰერცი სიხშირეებით.

კოსმოსური სადგურების „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“ გაშვების ძირითადი ამოცანაა დედამიწის შიგნითა და გარეთა რადიაციული სარტყელებისა და მათთან დაკავშირებული ფიზიკური მოვლენების ერთდროული შესწავლა.

დედამიწის რადიაციული სარტყელების შესწავლა კოსმოსური სადგურების საშუალებით შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ ფრიად მნიშვნელოვანი მეცნიერული მონაცემები დამუხტული ნაწილაკების ბუნების, სივრცითი მდებარეობისა და ენერგეტიკული სპექტრის შესახებ.

ამავე დროს იწარმოებს კოსმოსური სივრცის სიღრმიდან მომავალი სხვადასხვა კოსმოსური და ატმოსფეროს ზედა ფენების ფიზიკური [illegible] შესწავლა.

კოსმოსურ სადგურებს „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“ თვალყურს ადევნებენ და ტელემეტრიულ მონაცემებს იღებენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განლაგებული საკომანდო-საზომი კომპლექსის მიწისზედა პუნქტები. სადგურების აპარატურის მუშაობის მართვა ხორციელდება სადგურებში დადგმულ საპროგრამო-დროებრივ მოწყობილობათა საშუალებით და დედამიწიდან გაცემული განკარგულებებით.

კოსმოსური სადგურებიდან „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“ მიღებული რადიოტელემეტრიული ინფორმაცია მოწმობს, რომ ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოსათვლელი ცენტრი აწარმოებს მთელი მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

იმ მეცნიერული კვლევის შედეგების გამოქვეყნება, რაც კოსმოსური ხომალდების „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“ საშუალებით ხორციელდება, იწარმოებს რადიოტელემეტრიული ინფორმაციის დგროვებისა და დამუშავების კვალობაზე.

კვიპროსზე მშვიდობისათვის

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ კვიპროსში „მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის პროგრესის თვალყურის სადგენებლად“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენლად იგზავნება გენერალ-ლეიტენანტი გიიანი და კვიპროსის, საბერძნეთის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან კონსულტაციისათვის ლონდონში მიემგზავრება გენერალური მდივნის კაბინეტის უფროსის მოადგილე. სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ გუშინ წერილი გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ. თანტს.

ამ წერილში საბჭოთა წარმომადგენლობა ყურადღებას აქცევს იმას, რომ კვიპროსის მდგომარეობის საკითხი განსახილველად აქვს უშიშროების საბჭოს, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით აკისრია პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება უშიშროების შენარჩუნებისათვის.

ჩინეთისა და ამერიკის ელჩების შეხვედრა

ვარშავა, 30 იანვარი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა პოლონეთში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების ვან ბინ-ნანისა და ჯონ კიბოტის მორიგი შეხვედრა. მათი საუბარი, იუწყება პოლონეთის პრესის საგენტო, გაგრძელდა 1 საათსა და 50 წუთს. შემდეგი შეხვედრა დანიშნულია ამა წლის 8 აპრილს.

ნატო ამზადებს...

პარიზი, 29 იანვარი. (საკდესი), დღეს აქ ნატოს სახსარეში სტიკერის თავმჯდომარეობით შეიკრიბა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭო. როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, საბჭოს უნდა განიხილოს ინგლისის წინადადება, რომ კვიპროსში „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის“ გაიგზავნოს ახალი ჯარების კონტინგენტი, რომელიც შედგება ნატოს წევრი ქვეყნების ქვეგანაყოფებისაგან.

ბონი, 29 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პრესაში კვლავ დაიბეჭდა ცნობები, რომ ბუნდესვერმა „შესაძლოა“ მიიღოს მონაწილეობა ინტერვენციაში, რომელსაც ამზადებს ნატო კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საერთაშორისო ფინანსური ინფორმაციისა

ინსბრუკიდან

ოლიმპიადის ცეცხლი

ინსბრუკი, 29 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). ტიროლის დედაქალაქში — დიდებულ ტრამპლინთან — „ბერგიზელ შტადიონზე“ აინთო ოლიმპიური ცეცხლი. IX ზამთრის ასპარეზობა დაიწყო!

... თვითრი ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის წინ ბერგიზელის მთასთან ჩამწკრივდა ოცდათექვსმეტი გუნდი თავიანთ ქვეყნების ალმებით. ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა პრეზიდენტმა ადოლფ შერფმა გახსნილად გამოაცხადა IX ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა. შემდეგ მონაწილეებს მიესალმნენ ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გ. დრიმელი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი.

პირველი ჩემპიონები

თვთრი ოლიმპიადის გახსნის დღეს მოეწყო ფიგურული მოცეკვავეთა შეჯიბრება. წყვილთა პაექრობაში ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ საბჭოთა სპორტსმენები ლიუდმილა ბელოუსოვა და ოლეგ პროტოპოპოვი, რომლებმაც 104,4 ქულა შეაგროვეს. საბჭოთა მეორე წყვილმა — ტ. ტუკმა და ა. გავრილოვმა მეხუთე ადგილი დაიკავეს.

ჩინებული სტარტი

წარმატებით დაიწყეს ფინალური ასპარეზობა საბჭოთა ბოკვისტებმა. პირველ მატჩში მათ დაამარცხეს გასული ოლიმპიადის ჩემპიონი — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი ანგარიშით 5:1.

კვლავ წარმატება

გუშინ თვთრ ოლიმპიადაზე იმატა ასპარეზობათა პროგრამამ — შეჯიბრებაში ჩაებნენ ჩქაროსნული მოციგურავეები, მოთხილამურეები.

500 მეტრზე ციგურაობაში ქალთა შორის გამარჯვება ხვდა საბჭოთა სპორტსმენს ლ. სკობლიკოვას, რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მის მიერ ნაჩვენები დრო — 45 წამი — ახალი ოლიმპიური რეკორდია. მეორე და მესამე ადგილებიც საბჭოთა მოციგურავეებს ი. ეგოროვასა და ტ. სიდოროვას ხვდათ.

სათხილამურო გადარბენაში ვაჟთათვის 30 კილომეტრზე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ე. მიანტიურანტამ (ფინეთი). ი. ვორონჩიხინმა — ბრინჯაოს მედალი (სსრკ).

საბჭოთა მთავრობის პროტესტი

29 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ფ. კოლერი და გადასცა მას ნოტა, რომელშიც გამოთქმულია საბჭოთა მთავრობის პროტესტი იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავი შეიჭრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. საჰაერო სივრცის დამრღვევი თვითმფრინავი, რომელიც დაახლოებით 90 კილომეტრზე შეიჭრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ჩამოვარდა იმის შედეგად, რომ მიღებულ იქნა ღონისძიებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დაცვისად. საჰაერო სივრცე დაარღვია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ტ-39 ტიპის სამხედრო რეაქტიულმა თვითმფრინავმა.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, ნათქვამია ნოტაში, რომ ასეთი შეჭრა ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა უხეში პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს ვითარების გამწვავებას ევროპის ცენტრში. საბჭოთა მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ სამხედრო თვითმფრინავების ასეთი შეჭრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში გადაჭრით აღიკვეთება.

საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამს, რომ მთელი პასუხისმგებლობა მომხდარი სამწუხარო ინციდენტისათვის ეკისრებათ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებს. იგი მოელის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს ღონისძიებებს, რათა ასეთი ინციდენტები აღარ განმეორდეს მომავალში.

ფ. კოლერმა განაცხადა, რომ დაუყოვნებლივ გადასცემს ნოტას თავის მთავრობას. (საკდესი).

საბჭოთა მთავრობის ინფორმაცია

თბილისი—რეიკიავიკი

ცაიტნოტები ფინეთთან

რეიკიავიკის უკანასკნელ ტურებს სიხარულიც მოაქვს და სინანულიც. მაგალითად, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი ზედიზედ იგებს პარტიებს და კვლავ ერთპიროვნული ლიდერია. მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი კი ფინეთთან ხიფათს გადაეყარა და ცაიტნოტების მსხვერპლი გახდა.

თუ გავიხსენებთ, არც ერთ ტურნირში, მათ შორის ჰასტინგზეც, ნონა დროის სიმცირეს არ განიცდიდა, იგი სწორედ ენდშპილში იყო ძლიერი და აქ აღწევდა წარმატებას.

მაშ რა მოუვიდა ნონას? როგორც სპეციალისტები და ჟურნალისტები აღნიშნავენ — გაფრინდაშვილი, ჩანს, მოიქანცა, მამაკაცთა ასეთ ორ ძლიერ ტურნირში ზედიზედ მონაწილეობა მისთვის უთუოდ დიდი დატვირთვა იყო.

ახლა მოკლედ მეთერთმეტე ტურზე. გუშინ ნ. გაფრინდაშვილმა გვაცნობა: შავებით ვეთამაშებოდი ტალს. გროსმაისტერმა დებიუტიდან უკეთესი პოზიცია მიიღო. მართალია, ნაწილობრივ შევძელი მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ კვლავ ცაიტნოტის მსხვერპლი გავხდი, წავაგე ორი პაიკი და მასთან პარტიაც.

გლიგორიჩმა მოუგო ოიმანენს, ვეიდმა — ასმუნდსონს, სოლმუნდარსონმა — ბიორსონს, გუნდუნსონმა — ტორბერგსონს. პალმარსონ-ოლაფსონის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

11 ტურის შემდეგ ტალს 10,5 ქულა აქვს, გლიგორიჩს — 9,5 ქულა, ოლაფსონს — 8 ქულა, ოიმანენსენს — 6 ქულა და 2 გადადებული პარტია, ვეიდს — 6 ქულა, ოიმანენს — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, პალმარსონს — 5,5 ქულა, სოლმუნდარსონს — 4,5 ქულა, გაფრინდაშვილს — 4 ქულა,

შესვენების შემდეგ დამარცხება

კიევი, 30 იანვარი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ერთი დღის შესვენების შემდეგ ქალთბურთელებმა განაახლეს ბრძოლა.

თბილისის დინამოელებმა სამი მატჩის ზედიზედ მოგების შემდეგ უფერულად ჩაატარეს ბრძოლა რიგის სკა-სთან და დამარცხება განიცადეს 54:92. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: სკა (ლენინგრადი) - „სპარტაკი“ (მინსკი) 82:68, „დინამო“ (მოსკოვი) - „ქალგირისი“ (კაუნასი) 65:75, ვეფი (რიგა) - „კალევი“ (ტარტუ) 61:73, სკა (კიევი)-„სპარტაკი“ (ლენინგრადი) 59:69.

ნ. ფოფხაძე.

თბილისი—ბერლინი

ცაიტნოტები ფინეთთან

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის მთავრობის მემორანდუმი გამალებული შეიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა საბჭოთა წარმომადგენელმა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში. აყენებს რა წინადადებებს, რომლებიც ნაკარნახევია ზრუნვით მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხაზგასმით აღნიშნავენ გაზეთები, საბჭოთა კავშირი გვთავაზობს განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება შეიძლება დაოყოვნებლივ მოხდეს.

ნიუ-იორკი. ახალმა წინადადებებმა, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა 18 სახელმწიფოს კომიტეტში უენევაში, ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ამერიკის ოფიციალური პირნი წინადადებას იმის შესახებ, რომ მოსპონ ყველა ბომბდამშენი, რომლებსაც ატომური იარაღის ტარება შეუძლიათ, „ინტერესით“ შეხვდნენ, ხოლო სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალურ განცხადებაში თუმცა ფრთხილად, მაგრამ მიესალმა ამ წინადადებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტში წამოყენებულმა წინადადებებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს დასავლეთის სხვა დელეგაციათა შორის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ უნდა განხორციელდეს რაღაც რეალური ღონისძიება განიარაღების დარგში. იგი ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ჯამოპყოფს აგრეთვე საბჭოთა წინადადებას სამხედრო ბიუჯეტების 10-15 პროცენტით შემცირების შესახებ.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ თავის მხრივ აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადებანი შეიძლება „დისკუსიის საფუძველი“ გახდეს.

ლონდონი. საბჭოთა წინადადებანი სერიოზული განხილვის ღირსია, წერს გაზეთი „გარდიანი“. ინგლისის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წინადადებას ბომბდამშენი ავიაციის მოსპობის შესახებ. დასავლეთი მიესალმება ამ წინადადებას, წერს „ფაინენშლ ტაიმსი“.

„დეილი ექსპრესი“ აღნიშნავს, რომ ინგლისელმა დიპლომატებმა ინტერესი გამოიჩინეს შეთანხმებისადმი ბომბდამშენთა მოსპობის შესახებ. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს იქნებოდა განიარაღების პირველი რეალური აქტი 1945 წლის შემდეგ. ეხება რა მემორანდუმში წამოყენებულ წინადადებას უატომო ზონების შექმნის შესახებ, გაზეთი „გარდიანი“ წერს: არ არის რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი უარვყოთ რუსეთის ეს წინადადება.

პარიზი. იმ ღონისძიებათა ეფექტიანობა, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა წინადადებანი შეიცავს, უდავოა. ასეთია „ლუმანიტეს“ მიმომხილველის ივ მოროს აზრი. ეხება რა საბჭოთა კავშირის მოწოდებას, რომ გაიყვანონ უცხოეთის ჯარები ნატოს სხვათა ტერიტორიიდან, მიმომხილველი წერს, რომ ამ წინადადების მიღება „ბოლოს მოუღებდა ომს ვიეტნამში, აღკვეთდა საფრთხეს, რომელიც კვიპროსს, აგრეთვე ზანზიბარსა და ალჟირს სხვა ქვეყნებს მოელის“.

მორო აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროებისათვის.

ზინგადაღგმული ნაბიჯი

საზღვარგარეთის პრესა საბჭოთა მთავრობის მემორანდუმის შესახებ

ამ წინადადებას, წერს „ფაინენშლ ტაიმსი“, „ახალი ზინგადაღგმული ნაბიჯი განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში“ — ასე აფასებს მემორანდუმს გაზეთი „პარი ფიგარო“. ბევრი გაზეთის, კერძოდ, „კომბას“, „პარიზიენ ლიბერეი“ მიმომხილველები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი დიდად უსწრებს წინ ამერიკის წინადადებებს.

პარიზელი პოლიტიკური მიმომხილველები ამავე დროს კვლავ აქცევენ ყურადღებას სკანდალურ გარემოებას: დე გოლის ფრაქცია კვლავ ჯიუტად უწევს ბოიკოტს ჟენევის მოლაპარაკებას.

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაზეთები პირველ გვერდებზე ბეჭდავენ მემორანდუმის შინაარსს, ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა განიარაღების ახალი გეგმა. „ნოიე რაინ-ციტუნგი“ ჟენევიდან მიღებულ დეპეშაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებებს დიდი ინტერესით შეხვდნენ ჟენევაში. განსაკუთრებით დიდი შეფასება ეძლევა, აცხადებს გაზეთი, საბჭოთა კავშირის წინადადებას ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების აღკვეთის შესახებ. (საკდესი).

ერჰარდი რომში

რომი, 29 იანვარი. (საკდესი). დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ერჰარდი ეწვია ვატიკანში რომის პაპს პავლე VI-ს. ამით დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ერჰარდის რომში ვიზიტის ოფიციალური ნაწილი. დღესვე აქ გამოქვეყნდა დასკვნითი კომუნიკე ორი დღის მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც კანცლერი აწარმოებდა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთან ჩეზარე სანტეთან. ეხება ორი ქვეყნის ურთიერთობა, ევროპის ეკონომი